საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, ი. ჭავჭავაძის ქ. #103
27 51 50
103, I. Tchavtchavadze Str., Senaki, Georgia
gamgeoba@posta.ge

Tel.: (0 413) 27 75 47

E-mail: senakis-

Web address: www.senaki.ge

№ 716

15 ივნისი, 2017 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ჭალადიდის საჯარო სკოლის ამორტიზებული სპორტული დარბაზის და გადასასვლელის შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ნებართვის გაცემის შესახებ

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის 2017 წლის 9 მარტის №001283817 საექსპერტო დასკვნით სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ჭალადიდის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის და გადასასვლელის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და მათი ასეთი სახით არსებობა საფრთხის შემცველია.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არიან წინააღმდეგი აღნიშნული შენობების ჩამოწერა-დემონტაჟის.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", საქართველოს ორგანული კანონის 54–ე მუხლის პირველი პუნქტის „ე . ე." ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის პირველი პუნქტის, მე–3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების 54–ე და 56–ე მუხლების, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 26–ე, 26⁴ –ე და 32–ე მუხლების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნება დაერთოს სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ჭალადიდის საჯარო სკოლის დირექციას ამორტიზებული სპორტული დარბაზის და გადასასვლელის შენობა-ნაგებობებს ჩაუტაროს სადემონტაჟო სამუშაოები.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურმა.
3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონული სასამართლოში (ზის. ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქუჩა №247).

- მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე-გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი — თენგიზ ლორია